

ტენესი უილიამსი  
დიდი თამაში  
ერთ მოქმედებად  
უნგლისურიდან თარგმნა სალომე ბუბუტიევილმა

**პერსონაჟები**

**ტონი ელსონი**, კოლეჯის ფეხბურთის გუნდის ვარსკვლავი, ოცი წლის.

**დეივი**, ღარიბი, სამოწყალოდ შეფარებული პაციენტი, ოცი წლის.

**ვოლტონი**, შუა ხნის პაციენტი, ორმოცდაცხრა წლის.

**ჯო**, საავადმყოფოს სანიტარი.

**მის ალბერსი**, ახლგაზრდა მომვლელი.

**ფაზი**, მის სტიუარტის შერქმეული სახელი, მთავარი-მომვლელი.

**ექიმი ნორტი**, ახალგაზრდა ექიმი.

**ექიმი ჰაინსი**, დეივის ექიმი.

**სცენა:** მამაკაცების პატარა პალატა ქალაქის საავადმყოფოში. მინიმუმ სამი საწოლი დგას, რომელთაგანაც დასაწყობში მხოლოდ ორია დაკავებული. შესაძლებელია საწოლები განლაგებულ იყოს ისე როგორც სპექტაკლის მოქმედება მოითხოვს, მაგრამ დეივის საწოლი პირდაპირ უნდა უყურებდეს ფანჯარას. ტონის საწოლთან მდგარი მაგიდა სავსეა საჩუქრებით, ხილით სავსე კალათით, კოლოფებით ან კამფეტებით, წიგნებით, ჟურნალებითა და ყვავილებით.

შემოდგომაა, შაბათი დღის დილა. თვალისმომჭრელი თეთრი ოთახი სავსეა მზის შუქით.

**ტონი [ამჩნევს რომ დეივმა გაიღვიძა]:** გამარჯობა. მთელი საუზმის განმავლობაში გეძინა. იცოდი?

**დეივი [გულგრილად]:** ძალიან კარგი. მიხარია რომ ძილის საშუალება მომცეს.

**ტონი:** ისევ ცუდი ღამე?

**დეივი:** საშინელი. ისეთი შეგრძნება მქონდა თითქოს ვერ ვსუნთქავდი. თერთმეტის ნახევარზე ჩემი დოზის მისაღებად დავრეკე. თითქმის შუალამემდე არ მოუტანიათ.

**ტონი:** მგონი არ უნდათ რომ ბევრი მოგცენ.

**დეივი [დაძაბულად]:** აუცილებლად უნდა მივიღო. მათ იციან რომ აუცილებლად უნდა მივიღო. რატომ არასდროს მამლევენ როცა ვითხოვ?

**ტონი:** უნდათ რომ მის გარეშე გახვიდე ფონს იმდენ ხანს რამდენსაც შეძლებ.

**დეივი:** არა. იციან რომ აქ სამოწყალოდ ვარ.

**ტონი:** ასე არ არის დეივი. შენც ხომ კარგად იცი, ისინი მართლა კარგები არიან.

**დეივი [პაუზის შემდეგ]:** ხომ არ გაგაღვიძე? მეშინოდა არ შემეწუხებინე. მთელი ღამე მახველებდა. თითქოს ფილტვები ბუმბულებით მქონდა სავსე.

**ტონი:** მე ვერაფერი მაღვიძებს მაგრამ, მგონი უკეთესია რამე მოგცენ ხველების შესაჩერებლად.

**დეივი:** ოო, მგონი უკვე ყველაფერი მომცეს რისი მოცემაც შეეძლოთ. ასე ადრიაანად რისთვის იპრანჭები?

**ტონი:** დღეს დიდი დღეა, მეგობარო.

**დეივი:** ოო, მიდიხარ არა?

**ტონი:** ჯანდაბამდეც გზა ჰქონია ყველაფერს, მივდივარ. თუ ექიმი ამბობს კიო. აბა შეხედე უკეთ მაქვს? **[ჭიმავს ნახევრად შეხვეულ ფეხს]**

**დეივი:** თითქოს ისევ გასიებულია, მაგრამ გაცილებით უკეთ კი გამოიყურება.

**ტონი:** მგონი საოცრად გამიმართლა რომ ფეხი შემრჩა.

**დეივი:** კი.

**ტონი:** ახლოს ვიყავი დაკარგვასთან. სიკვდილი მირჩევნია ხის ფეხით ცხოვრებას.

**დეივი:** არა, სულაც არ გირჩევნია.

**ტონი:** შენ არ მიცნობ მეგობარო, მე უნდა ვიარო, თან სწრაფად უნდა ვიარო. ჯანდაბა! დღეს თუ არ გამიშვებენ აქედან... შენ რას ფიქრობ? როგორ გგონია გამიშვებენ?

**დეივი:** ასე რამ გადაგრია?

**ტონი:** შე ჩერჩეტო! დღეს შაბათია!

**დეივი:** ოჰ, ფეხბურთი.

**ტონი:** სეზონის ყველაზე მაგარი თამაშია მისურის ვეფხვებთან. ჯანდაბა! რომ ვერ ვნახო?! გუნდში არ ყოფნაზე აღარაფერს ვამბობ! აბა, დაფიქრდი! ამ სეზონზე მხოლოდ ორჯერ ვითამაშე! ბედია არა?

**დეივი:** კი. ბედია, აბა არა?

**ტონი:** ერთი სიტყვით, ნაშუადღევს სათადგოროგოთა სკამზე ვიქნები. დაგენიძლავები. შემდეგი თამაშისთვის კი შენც გაგწერენ, დეივ და ჩემს გვერდით იჯდები.

**დეივი:** კი?

**ტონი:** უეჭველია. შეხედე! გრეტა გარბო მოდის!

**[მაღალი ქერა მომვლელი, მის ალბერსი, ოთახში შემოდის.]**

**მის ალბერსი [ყალბი სიმკაცრით]:** საწოლში რატომ არ ხართ, კლარკ გეიბლ?

**ტონი:** მეგონა კვლავ, მხურვალე სასივარულო სცენას გავითამაშებდით, საყვარელო.

**მის ალბერსი [ თერმომეტრს პირში უდებს]** მოიცადე ჯერ ვნახავ რამდენად ცხელი ხარ ამ დილით.

**[შეშინებული სახის გამომეტყველებით ფრთხილად ჯდება საკუთარი საწოლის კიდეზე. მომვლელი დეივთან მიდის]**

**მის ალბერსი:** საუზმეზე ძილის საშუალება მოგეცი, შე პატარა უსაქმურო. ფაზის რომ გაეგო შეიძლება სამსახურიდანაც კი გავენთავისუფლებინე.

**დეივი:** ჰო, მაღლობა გრეტა. ნამდვილად მჭირდებოდა ძილი. შუადამემდე არ მოუციათ ჩემი დოზა.

**მის ალბერსი:** სადამოს მოგცემთ კიდევ ერთს. **[პირში თერმომეტრს უდებს, პულსს უთვლის. სერიოზული გამომეტყველება აქვს. ტონისთან მიდის და აშორებს თერმომეტრს.]** საზიზღრად ნორმალურია.

**ტონი:** ანუ ეს იმას ნიშნავს რომ აქედან წავალ, ჰაა?

**მის ალბერსი:** მერე როგორ გადავიტანო თქვენი დაკარგვა, მისტერ გეიბლ?

**ტონი:** **[გრეტას იჭერს და საფეხბურთო ფინტის იმიტაციას აკეთებს]** აი, სწორედ ასე კეთდება ხაზზე დაჭერა, გრეტა!

**მის ალბერსი:** გაჩერდი, შე დარტყმულო!

**ტონი:** თავი დაიცავით! თავი დაიცავით!

**მის ალბერსი [სიცილისაგან ყვირილი უფარდება]:** გაჩერდი, გაჩერდი, სულელო! **[როგორც კი ტონი მოეშვება]** აქამდედაც ბევრჯერ დაუბრალებიათ სექსუალური მიდრეკილებისაკენ სწრაფვა. ამბობენ რომ სუსტი გულის ბიჭებზე ცუდად ვმოქმედებ.

**ტონი:** **[ხაფიქრებულად]** გირჩევნია დეივთან ფლირტი არ დაიწყო აქედან რომ წავალ.

**მის ალბერსი:** დეივს გოგონები არ მოსწონს? ასე არ არის დეივ?

**[დეივს პირიდან თერმომეტრს აცლის]**

**დეივი:** არა, განსაკუთრებით ქერები.

**მის ალბერსი:** ხედავ? შენსი არა მაქვს დეივთან! ო, ღმერთო, ფაზი მოდის!

**[მთავარი მომვლელის ხმა კარებს იქიდან ისმის. მოგვიანებით შემოდის სათვალეებიანი შუა ხნის ქალი მკაცრი ნაკვეთებით. ახალგაზრდა მომვლელი უცებ ძალიან სერიოზული და საქმიანი ხდება]**

**ფაზი [მკაცრად]** დილა მშვიდობისა.

**[არავინ პასუხობს]**

**ფაზი:** მე რომ თქვენს ადგილას ვიყო მისტერ ელსონ, მაგ ფეხზე ნამდვილად არ დავდებოდი. წარმოდგენაც არა გაქვთ რა ახლოს იყავით მის დაკარგვასთან და ჯერ კიდევ არ დამთავრებული ყველაფერი. ამ ინფექციასთან ხუმრობა არ შეიძლება. მე რომ თქვენი მკურნალი ექიმი ვიყო კიდევ ერთ კვირას დაგინიშნავდით წოლით რეჟიმს, მაგრამ – **[ფრუტუნებს]** მე მხოლოდ მომვლელი ვარ! **[ახალგაზრდა მომვლელისაკენ ტრიალდება]** აქ დავაწვენთ. **[ორიდან ერთ-ერთ თავისუფალ საწოლზე მიუთითებს]**

**მის ალბერსი:** ვის?

**ფაზი:** **[მკაფიოდ]** შენთვის არ მითქვამს, ამ დილით რომ ახალი პაციენტი გადმოიყვანეს ჩვენთან, აი ის ტვინზე რომ სჭირს რაღაც.

**მის ალბერსი:** ტვინზე? არა, არ გითქვამთ.

**ფაზი:** არა? ეტყობა თავიდან ამომიფრინდა. არც არის გასაკვირი, ყველაფერზე ხომ თავად უნდა ვიზრუნო. **[უკან ტრიალდება და ცარიელ საწოლს გადასაფარებლს აფარებს]** ეს ექიმ მორსენის პაციენტია. არასოდეს გამიგია მსგავსი შემთხვევები კერძო პალატებში არ განეთავსებინოთ, მაგრამ ეს იყინებს რომ სხვებთან ერთად უნდა – მარტო ყოფნა არ უნდა – ტემპერამენტულიაო!- ერთი სიტყვით აქ უნდა დავაწვინოთ, მაგრამ ღმერთმა უწყის – **მის ალბერსი:** ტვინზე რა სჭირს, მის სტუარტ?

**ფაზი:** ქირურგიული ჩარევა სჭირდება. ძალიან დელიკატური საქმეა. მხოლოდ ექიმი მოსერი თუ გაბედავდა ცდას. სიმსივნე უნდა ამოიჭრას, ტვინის წინა, მარცხენა ნაწილიდან.

.....

**[ამ საუბრისას კარეთან ზურგიტ დგას ახალი პაციენტი, შუა ხნის ვოლტონი და ექიმ ნორითან ერთად შემოდის ოთახში. ისე ჩუმად შემოდის რომ ფაზი თავდაპირველად მათ ვერც კი ამჩნევს. საწოლთან ფუსფუსებს.]**

**ფაზი:** **[ ხმამაღლა აგრძელებს]** ხუთ ცენტსაც არ გავიღებდი მისი შანსებისთვის.

[ექიმი ნორთი, ხმამაღლა ახველებს. ფაზი შეშინებული ტრიალდება. მიმედ სუნთქავს და ხელს ლოყაზე იდებს – აშკარად ხვდება რომ შუახნის მამაკაცი რომელიც გვერდით უდგას, სწორედ ის პაციენტი იყო, რომელზედაც ცოტა ხნის წინ საუბრობდა. კაცის სახის გამომეტყველება გვიჩვენებს რომ, მან ნამდვილად გაიგო ფაზის ნათქვამის მნიშვნელობა. დაძაბული სიჩუმე ჩამოვარდა]

ფაზი: ოჰ, მე უბრალოდ – უბრალოდ მის საწოლს ვასწორებდი!

ექიმი ნორთი [ცივად]: დიახ. დიახ. [შემდეგ გულთბილად] შენც აქ ყოფილხარ, ჩემო ძველო მეგობარო. ამ ოთახს ახლა სტადიონი(მოედანი) ჰქვია. აი სად გვიწევს ყოველ შაბათ საღამოს საფეხბურთო თამაშების გამართვა.

ტონი [აწყვეტივნებს]: ოღონდ არა ამ საღამოს! დღეს მივდივარ!

ექიმი ნორთი : მართლა? კარგი, ვნახოთ რა იქნება!

[მის ალბერსი, ფაზის უკან მიძვრება, საგულდაგულოდ უკრავს თვალს ტონის და ოთახიდან იპარება.]

ექიმი ნორთი: [ახალ პაციენტს] მისტერ ვოლტონ, აი ის ახალგაზრდა ტონი ელსონია, ამერიკის, ვაშინგტონის დათვების ნახევარმცველი! ტონი ეს კი მისტერ ვოლტონია, შენი ახალი ოთახის ამხანაგი.

[ ერთმანეთს ხელს ართმევენ. ვოლტონს დაძაბული სახე აქვს. თითოეული მისი მოძრაობა მაღალ ფარდოვანია. ძალიან სწრაფი, დაძაბული. თამამად წინ იჯგიმება]

ვოლტონი: მოხარული ვარ რომ გაგიცანით, ელსონ. თქვენი თამაში ნანახი მაქვს. – რა უნდა ვქნა?

დავწვე? [უხეზად იცინის] ცოტა სასაცილოა საწოლში ყოფნა, როცა თავს მშვენივრად ვგრძნობ!

ექიმი ნორთი: შეგიძლიათ ამ შირმის უკან გაიხადოთ. მის სტიუარტ უკეთესი იქნება ახლა თუ ჩაიწერთ მის ისტორიას.

[თეთრი შირმა ვოლტონის საწოლის წინ დგას. ფაზი შირმის მეორე მხარეს ჯდება ფანქრითა და ფურცელით ხელში. ჩვეულ სამედიცინო ტიპის შეკითხვებს სვამს, ვოლტონი წეება]

ექიმი ნორთი [ ათვალთვრებს ტონის ფეხს]: მუხლის გარშემო ცოტათი ისევ ამოზურცულია, ჰაჰ?

ტონი: არაუშავს.

ექიმი ნორთი [ ოდნავ უჭერს ხელს] კიიი?

ტონი: აუუუუ!

ექიმი ნორთი [იღიმება]: მეგონა არაუშავდა. კარგი, ვნახოთ ერთი ექიმი ჰაინსი რას იტყვის.

ტონი: სპორტსმენივით მოიქეცით ექიმო. უთხარით რომ გამიმზას. აუცილებლად უნდა ვნახო ის დიდი თამაში დღეს.

ფაზი [ იწერს ვოლტონის ისტორიას ] : დაბადების თარიღი?

ვოლტონი { მშრალად, შირმის მეორე მხრიდან} 1887 წლის 3 დეკემბერი.

ფაზი: მშობლები ცოცხლები არიან?

ვოლტონი: არა.

ფაზი: მათი ასაკი გარდაცვალებისას.

[სიჩუმეა. ახალგაზრდა ექიმი დეივთან მიდის. დევი ყველას მიმართ ზურგით წევს, თვალები დახუჭული აქვს]

ექიმი ნორთი: რამ დაგდადარდიანა ამ დილა უთენია?

დეივი: კიდევ ერთი ცუდი ღამე მქონდა.

ექიმი ნორთი [სერიოზულად]: ვწუხვარ ეს რომ მესმის, მეგობარო. [დეივის პულს ითვლის]

ვოლტონი: დედაჩემი 52 წლის ასაკში გარდაიცვალა. მამაჩემი ჩემი ხნის იყო რომ მოკვდა.

ფაზი: დედის სიკვდილის მიზეზი?

ვოლტონი: [ჩახლეჩილი ხმით] კიბო.

ფაზი: რომელი ორგანოსი?

ექიმი ნორთი [ ხელს უშვებს დეივის მაჯას და საათს აძრობს ] : გუშინ რაღა იყო?

დეივი: შუალამემდე არ მოუციათ ჩემი დოზა. სულ მახველებდა და მახველებდა. დილით არ მახველებს ხოლმე, მხოლოდ ღამით. თითქოს კარგად ვერც ვსუნთქავდი. მაღვიძებს. მინდა რომ დოზა მაშინ მომცენ როცა ვთხოვ.

ფაზი [მკაცრად] რომელი ორგანოსი? მითხარით თუ შეიძლება.

ვოლტონი [გაბრაზაზებით] ექიმო, კიდევ უნდა დამისვას ეს იდიოტური შეკითხვები? უკვე თავი ამტკიცდა!

ექიმი ნორთი [მშვიდად]: მგონი ეყოფა, მის სტიუარტ.

[ფაზი გაბრაზებული დგება და მიდის]

ექიმი ნორთი [დეივს]: რათქმაუნდა ჩვენ მაშინ უნდა მოგცეთ დოზა როცა ყველაზე საჭიროდ ჩავთვლით.

დეივი [ისტერიულად]: ძალიან ვიღლები ამისგან, ექიმო. ყოველდამ ასე გრძელდება. არ მიძინავს. ვწევარ აქ ჩემთვის და შევყურებ ჭერს, ძალიან უცნაური გრძნობით თითქოს ფილტვები სულ ბუზბმულებით მქონდეს სასე.

ექიმი ნორთი [რადაცას სწრაფად იწერს ბლოკნოტში]: სიმშვიდე უნდა შეინარჩუნო, მეგობარო. ცოტა დროს წაიღებს, ესაა და ეს. დღეს კიდევ ერთი სურათის გადაღებას ვაპირებთ შენი შიგა ორგანოებისათვის. [ზარს რეკავს მომვლელის გამოსამახებლად]

**დეივი:** რენტგენი? ეგ არაფერს მშველის. რაღაც ისეთი მჭირდება რაც *დამეხმარება*. რაღაც ისეთი რაც ძილის საშუალებას მომცემს ღამით.

**დეივი:** დღეს დამამშვიდებელს დაგიყენებთ დეივი.

**დეივი:** ვერც დამამშვიდებელი მეხმარება. ღამით ხველაბას ვერ მიჩერებს. ხველების შეწყვეტა მინდა. ძილი მინდა. არ მინდა ყოველდღე ასე ვიწვე, ჭერს ვუყურო – და – და – ველოდო როდის –

**ექიმი ნორთი:** ელოდო რას?

**დეივი:** არაფერს. **[მეორე მხარეს ბრუნდება.]** ბოდში რომ ასეთი ხმაური ავტეხე. არ მინდოდა.

**ექიმი ნორთი:** არაუშავს, მეგობარო. ყელანი შენს გვერდით ვართ, ხომ იცი.

**ტონი [რომელიც ახლა მთლიანად გამოწყობილია]** აბა რა, დეივი. აი მაღლიერების დღისთვის აქედან გამოგწერთ და ჩემს თამაშს ნახავ ლურჯების წინააღმდეგ.

**ექიმი ნორთი [ინსტრუმენტები აშორებს]:** დეივს უფრო მეტი შანსი აქვს მაგ თამაშის ყურებისა, ვიდრე შენ თამაშისა, ნახევარმცველო.

**ტონი:** მე აუცილებლად ვითამაშებ მაგ თამაშს, დეივი კი სათადარიოთა სკამზე იჯდება და მიყურებს! რას იტყვი, დეივი?

**[პაუზა]**

**დეივი:** არასოდეს მინახავს ნამდვილი საფეხბურთო მატჩი. მეზობელი ბავშვები ყოველთვის თამაშობდნენ შაბათობით. მშვენიერი კი იყო მაგრამ, სულ საყოველთაო მუშტი კრივით სრულდებოდა.

**ტონი:** შენ რა არსოდეს გითამაშია, მეგობარო?

**დეივი [ხელა]:** არა, რწყილობანაზე უფრო უხეში ცხოვრებაში არაფერი მითამაშნია. ჩემმა შემოწიწებელმა უეჭველია საშინელი შეცდომა დაუშვა და ვინც არ უნდა ყოფილიყო – სიამოვნებით მივუნაყავდი ცხვირ-პირს!

**ტონი [სიცილით]:** აი ეს არის ძველი საომარი სული, მეგობარო.

**[მის ალბერსი შემოდის]**

**ექიმი ნორთი :** სკამი მოიტანეთ დეივისთვის. კიდევ ერთი რენტგენი უნდა გადავიღოთ, მის ალბერსს.

**მის ალბერსი:** დიახ, ექიმო.

**ვოლტონი [საწოლიდან]** უკაცრავად, მომვლელი, შეგიძლიათ შირმა წაიღოთ? ცოტა არ იყოს და განმარტოებითა ვარ.

**[შირმს კედელთან მიაგორებს. ვოლტონი ახლა პიჯამაში გამოწყობილი ზის საწოლზე.]**

**ვოლტონი:** როდის მოვა ექიმი მოსერი?

**ექიმი ნორთი:** დაახლოებით ორის ნახევრისათვის.

**ვოლტონი:** მაშინვე წამიყვანს, არა? მინდა რომ მალე მორჩეს.

**ექიმი ნორთი:** ორი საათისთვის ხართ ჩაწერილი მისტერ ვოლტონ, ვეღარ ითმენთ?

**ვოლტონი:** დიახ. რაც უფრო მალე დამთავრდება მით უკეთესი.

**ექიმი ნორთი:** სწორედ ასე უნდა შეხედოთ ამ ყველაფერს.

**[ინტერნი შემოდის და შემოაქვს ინვალიდის ეტლი. დეივს იქ გადასვამენ]**

**დეივი:** უკვე საკმარისი სურათები დაგიგროვდათ ჩემი შიგთავსისა რომ მუხეუმი გააკეთოთ. ალბათ განსაკუთრებული შესახედაობა ექნებათ. მე თვითონ, თუ შეიძლება. ადგომას მოვახერხებ. **[დგება და წაიბორძიკებს. ეხმარებიან სკამზე დაჯდომაში. სუსტად ამოიხრებს]** ჰაჰ! *როგორც ფიცრული ბილიკი ატლანტიკ სიტიში! აი ცხოვრებაც, ბიჭებო! (Huh! Just like the boardwalk at Atlantic City! This is the life, boys!)*

**[ინვალიდის ეტლში გაჰყავთ პალატიდან]**

**ვოლტონი :** რა დაემართა იმ ბიჭს?

**ექიმი ნორთი [ისე ამომრავებს ხელს თითქოს ბოლო ჩანაწერებს აკეთებს]:** თანდაყოლილი გულის დაავადება.

დაწყველილი ამბავია ამ ხნის ბიჭისათვის.

**ვოლტონი:** შანსები არ აქვს?

**ექიმი ნორთი:** დროის ამბავია, მხოლოდ.

**ტონი:** თქვენ გგონიათ რომ ის – ?

**ექიმი ნორთი:** მე იმას ვამბობ რომ შენ უფრო იღბლიანი აღმოჩნდი ვიდრე წარმოგიდგენია, ტონი, მხოლოდ რამოდენიმე საფეხბურთო მატჩის გამოტოვება მოგიხდა!

**ტონი [ჩაფიქრებული]:** მემგონი მართლაც გამიმართლა – ღმერთო – არ მეგონა ყველაფერი ასე თუ იყო. საწყალი ძე – დეივი! **[თითქოს უცებ გამოფხიზლდება. ჯდება საწოლის კიდეზე და თასმას იკრავს.]**

**ვოლტონი :** ნეტავ იმ ბიჭმა თუ იცის ასე ცუდად რომ არის მისი საქმე?

**ექიმი ნორთი:** არადა ნებისყოფა ნამდვილად აქვს. რაც ვიცნობ პირველად ხდება რომ ასეთი გატეხილი და აფორიაქებულია. ესეთ რამეებს – რას ვუზამთ? **[რვეულს ხურავს]** ჯანდაბა საშინელებაა, სულ ესაა! – **[შემდეგ მეგობრულად]** დროებით, მეგობრებო.

**ტონი და ვოლტონი:** დროებით.

**[პაუზა/სიჩუმე]**

**ტონი:** ხედავ? ამ საავადმყოფოში რაღაცეები ჩაგაფიქრებს კიდევ.

**ვოლტონი:** ჰოო. ალბათ მართალი ხარ – მაგ მხრივ!

**ტონი:** ასეთ რამეებზე არასოდეს მიფიქრია აქამდე. რა თქმა უნდა ვიცოდი რომ რაღაც ამდაგვარი ხდებოდა. ხალხი განუკურნებელი სენით ავადდება და კვდება მაგრამ არასოდეს მინახავს ცხადად – ხდებოდეს!

**ვოლტონი:** არა, ყველაზე საზიზღარობა მათი სიკვდილის ყურებაა. ძალაც რომ არ შეეწყვეს შეაჩერო.

**ტონი:** ფიქრობ ასეთი საშინელებები რატომ უნდა ემართებოდეთ ისეთ ბიჭებს როგორც დეივია, მაგრამ ვერ ხვდები.

**ვოლტონი:** ვერა. ვერაფრით ხვდები – ბევრი რამ საერთოდ რატომ უნდა ხდებოდეს.

**ტონი:** ჰო, აზრი არ აქვს, ამ ყველაფერს აზრი საერთოდ არ აქვს, ასე არ არის?

**ვოლტონი:** არა, არ აქვს. **[პაუზა]** საერთოდ არ აქვს აზრი.

**ტონი:** მსგავს ამბებზე ხშირად არ ფიქრობ, მაგრამ როცა ფიქრობ თავს რაღაც უცნაურად გრძნობ – თითქოს გაშინებს, არა?

**ვოლტონი:** ჰო. გაშინებს ასეთ რამეებზე ფიქრი.

**ტონი:** შენ რისთვისღა ხარ აქ?

**ვოლტონი:** ოპერაცია. აპირებენ რომ – [შუბლზე ხელს იკაკუნებს/ირტყამს] რაღაც ამომაჭრან თავიდან.

**ტონი:** აა ჰო, ეგ მოვისმინე უკვე.

**ვოლტონი [დამაბული ხმის ტემბრით]:** ჰო მეც მოვისმინე. გავიგე რას ამბობდა როცა ოთახში შემოვედი!

**ტონი:** აა – იის?

**ვოლტონი:** ჰოო.

**ტონი:** შენს ადგილას ყურადღებას არ მივაქცევდი მის ნათქვამს!

**ვოლტონი:** ხუთ ცენტსაც კი არ გაიღებდა ჩემი შანსებისთვის ჰაჰ! იქნებ მშრალზეც კი დავტოვო.

**ტონი:** ოო, ეგ ერთი მწარე ენის მქონე ქალია – ხუთ ცენტს მზის ამოსვლაზეც კი არ დაგენიძლავებოდა .

**ვოლტონი [პაუზის შემდეგ]:** ეს ტვინის ოპერაციები – ძალიან საფრთხილო საქმეა.

**ტონი:** ჩემი ინფექციაც საფრთხილო იყო – ერთ ღამესაც ფიქრობდნენ რომ ფეხი უნდა მოეკვეთათ!

**ვოლტონი:** ღმერთო.

**ტონი:** ჰოო, ცხელება მქონდა. 100 გრადუსი. ძმაო ვბოდავდი მაგრამ იმის აზრი კი მოქნდა რომ მეთქვა „ფეხის მოჭრას სიკვდილი მირჩევნია-მეთქი!“ **[იღრიჭება]** მგონი ეგ მწარე ენის ქალიც იქ იდგა ხორცის-მაკრატლით ხელში და ემზადებოდა მოსაჭრელად! – მაგრამ იმედები გავუცრუე! **[დგება]** დღეს შუადღისთვის სათადარიგოთა სკამზე ვიჯდები, როგორც უკვე ვთქვი. სიცოცხლეს ჩამოვალ, ასე იქნება! მწვრთნელი დღეს მაგარ თამაშს გვაჩვენებს, დღევანდელი დღე ფეხბურთის ისტორიაში შევა. გასულ კვირას ერთად ვამუშავებდით საფეხბურთო გეგმას. ბოლო თამაშია ბვირფასო. ასე იქნება, უსმინე – მარჯვენა ნახევარმცველი გარბის – მერე – ბლოკავს – დიახ ასე – ის ბლოკავს და ჯო კრამერი – ჯანდაბა! **[თითებს ატკაცუნებს]** გული მერევა ამაზე რომ ვფიქრობ!

**ვოლტონი [გულგრილად]:** რაზე?

**ტონი:** იმაზე რომ სათადარიგოთა სკამზე უნდა ვიჯდე! წარმოიდგინე! სკამს ვახურებ! **[იღრიჭება]** მაგრამ მგონი მაინც გამიმართლა. შესანიშნავია, ფეხები სასიარულოდ მაინც შემრჩა! – **[ისევ ჯდება]**. აი დასასრულსაც მივუახლოვდით – ოოო დიახ – მცველი ბურთს იღებს – და ჯო კარტერს აწვდის – ჯო სწრაფად უგდებს კრის ლანჯს – ხომ იცი ვისზე გეუბნები – გუნდში ჩემი ადგილი უჭირავს – კრისი პასის იმიტაცის აკეთებს – მერე ჯო ...

**[ამ დროს დეივი ჯოს კვლავ ინვალიდის ეტლში შემოჰყავს, ჯო სანიტარი. დეივი ძალიან ფერმკრთალია და სუსტად გამოიყურება. გადაქანცული უკან იხრება ეტლზე მაგრამ პალატაში შემოყვანისთანავე იკრიჭება]**

**ტონი [გულთბილად]** გაუმარჯოს.

**დეივი:** გაუმარჯოს. მეგონა უკვე იმ დიდ თამაშზე იქნებოდი წასული.

**ტონი:** ეშმაკმა დალახვროს ასეც უნდა იყოს!

**ჯო:** ვილაცას შენი ნახვა უნდა დერეფანში, ტონი.

**ტონი:** ექიმ ჰეინსს? ჰეი. ექიმო – ექიმო!

**[გიჟივით გარბის დერეფნისაკენ. გვესმის ექიმთან უხეში წაკამათება და შემწყნარებლური სიცილი]**

**ჯო [დეივს საწოლზე გადაყვანაში ეხმარება]:** უფრო იოლია ხომ?

**დეივი:** ოო, ეშმაკსაც წაუღია. ლაკი მომეცი, ჯო.

**ჯო: [უხალისოდ]:** სანამ ჰეინსი არ წავა ნუ მოწევს.

**დეივი:** მადლობა.

**ჯო:** შეეშვი ერთი მაგას.

**დეივი:** ერთი მაგისიც.

**ჯო [სერიოზულად]:** ცოტა მაინც ხომ უნდა იზრუნო შენს თავზე, ბიჭო.

**დევი:** რისთვის?

**ვოლტონი:** მართალს გეუბნება მეგობარო. ისეთს ნურაფერს იზამ რაც შენს პროგრესს ხელს შეუშლის.

**დევი [უხეშად]** ჩემს პროგრესს! ვერაფერი შეუშლის ხელს! ასანთი ჯო. ლანჩამდე შევნიხავ.

**[ტონი ყავარჯნებით ხელში ღონივრად შემოდის პალატაში, სახე უკაშკაშებს. უკან ექიმი ჰეინსი მოჰყვება]**

**ტონი:** მივდივარ, მივდივარ, უკვე წავედი!

**ექიმი ჰეინსი:** ფრთხილად, ნახევარმცველო. ყველაფერი შეაგროვე?

**ტონი:** რატემა უნდა!

**[ტანსაცმელს ალაგებს, ექიმში ჰაინსი ეხმარება.]**

**ექიმი ჰაინსი:** უკანა შესასვლელში დგას მამაშენის მანქანა. ახლოა. ყველა ნაბიჯი უნდა დაზოგო, გესმის? – აღარ იარო ყავარჯნების გარეშე, მინიმუმ ერთი კვირა მაინც!

**ტონი [მოუთმენლად]:** კარგი, კარგი! წავიდეთ რა! მთელს პირველ მეოთხედს გამოვტოვებ! ყველაზე სანახაობრივი შეტევები იქნება! რომელი საათია, ექიმო? ღმერთო, ასე გვიან? ოო – **[ტრიალდება და დევისს საწოლთან მიდის, ელს გულითადად უწვდის]** დროებით, – big shot!

**დევი:** დროებით ტონი.

**ტონი [ცოტათი დარცხვენილი]:** მომისმინე – ეს ყველაფერი – ხომ ხვდები, ჟურნალები, კამფეტები და ასე შემდეგ – შენ გქონდეს – ყველაფერი შენია!

**დევი:** ოო, არა. ესენი შენ გამოგიგზავნეს ტონი. ჯობია შენ წაიღო.

**ტონი [იკრიჭება] :** მოკეტე! არ მჭირდება ეს განებივრებული ბიჭის ნივთები! აი – **[დიდ ხილის კალათას დებს დევისს მხარეს]** შენ ჭამე. მე მაინც არ მომწონს. მართლა გეუბნები!

**დევი:** მხოლოდ ცოტა ყურძენს ავიღებ, მეტი არაფერი მინდა. მადლობა ტონი.

**ექიმი ჰეინსი [გარედან]** ფეხი გამოადგი, ნახევარმცველო!

**ტონი [კარისკენ მიდის]:** მოვდივარ **[დევისს]** ხომ მოუსმენ თამაშს?

**დევი:** დაგენიძლავები. მოვუსმენ.

**ტონი :** დროებით **[გადის]**

**დევი [თითქოს საკუთარ თავს ეუბნება]:** ჰო. დროებით ...

**ვოლტონი [პაუზის შემდეგ ჩაახველებს]:** ძალიან კარგი ახალგაზრდაა.

**დევი:** ჰო.

**ვოლტონი:** მისი თამაში ნანახი მაქვს.

**დევი:** მართლა?

**ვოლტონი:** წლების განმავლობაში დათვებს ასეთი ნახევარმცველი არ ჰყოლიათ. საუკეთესოა.

**დევი:** ჰო.

**ვოლტონი:** მეონი კარგი მეგობრები გახდით არა?

**დევი:** ჰოო. **[პაუზა]** ორი თვეა ერთად ვართ აქ. საკმაოდ კარგი მეგობრები გავხდით.

**ვოლტონი:** მოგენატრება, ჰა?

**დევი:** ჰოო. მომენატრება. **[გაზეთს იღებს, უსიცოცხლოდ გადაავლებს თავს და აგდებს.]** სიცოცხლე შემოიტანა. ყოველთვის ჰქონდა სახუმარო თემა. ხვდები? ასეთი ბიჭი რომ გყავს გვერდით შეგიძლია ელაპარაკო და ასე თუ ისე სხვა რაღაცეებზე აღარ ფიქრობ.

**ვოლტონი:** რა თქმა უნდა. ვხვდები რასაც გულისხმობ. მე და შენ, მოგვიწევს პატარა გამამხნეველები-სეზონი მოვუწყოთ საკუთარ თავებს! **[ორივე ცდილობს გაცინებას – მაგრამ წარუმატებლად. ვოლტონი ყოველ წამს ნერვიულად უყურებს მაჯის საათს.]** ნახევარი საათი დამრჩა!

**დევი:** სანამ ოპერაციას გაგიკეთებენ?

**ვოლტონი:** თქვეს რომ უმჯობესია მალე მორჩნენ.

**დევი:** კარგი იქნებოდა ჩემთვისაც რომ შეეძლოთ ოპერაციის გაკეთება. აი რომ ამომჭრან რაიმე ან შემისწორონ – იმის მაგივრად რომ უბრალოდ – უბრალოდ . . .

**ვოლტონი [პაუზის შემდეგ]:** ტვინის ოპერაცია ძალიან საფრთხილო საქმეა. **[სიგარეტს უკიდებს და თითებს შორის უთრთის]** ვერ გაიგონე რა თქვა იმ ბებერმა მომვლელმა სანამ ოთახში შემოვიდოდი –

**დევი [უცებ]** ოო, მის ნათქვამს ნუ მიაქცევ ყურადღებას.

**ვოლტონი [ადეღვებული]** ხუთ ცენტსაც არ გაიღებდა ჩემი შანსებისთვის, ხო ? სეირი უნდა ვუჩვენო ერთი. ამაზე უარეს სიტუაციებშიც აღმოვჩენილვარ. ომში ვიყავი, ხუთი თვე ფრონტზე. ჭურვების წვიმაშიც მოვხვედრილვარ.

მე არ ვარ მშიშა. **[აკანკალებული ხმით იცინის.]** ხუთ ცენტსაც არ გაიღებდა! **[აღრ ყოყორბს და სახეც**

**უზნელდება.]** მაგრამ, მაინც არ ვამტყუვნებ. ტვინის ოპერაცია საფრთხილო საქმეა. **[ხმა ურბილდება და ცოტათი**

**უკანკალებს კიდევ]** it's touch and go. აი რა touch and go! **[ისევ იცინის]** გუშინ მაგრად შემეშინდა. ჰო. წევხარ და რაც შეიძლია ცდილობ დაძინებას. წვეთი არ მიძნია. სულ ვფიქრობდი. იქნებ ეს შენი უკანასკნელი ღამეა, ძველო!

ეს იდეა ცოტა სასაცილოდ მეჩვენა. ვერ ვეჩვენებ ამ აზრს. ყველაფერი სხვანაირადაა სანგარში რომ წევხარ უცებ ყუმბარები ცვივა შენს გარშემო – ყველაფერი ფეთქდება – დიდი გრუხუნი-ბუუმ-ბენგ! (ზაა ზაა) – ეს ყველაფერი სისხლში აღწევს, თითქოს გიჟდები და შიში გავიწყდება! – მაგრამ ღამით – მარტო – ცდილობ დაიძინო – მაგრამ ეს აზრი გიტრიალებს თავში ყოველ წუთს – იქნებ ეს სწორედ ის ღამეა, ძველო – მეტი ღამე აღარ იქნება – მეგობარო! აი ეს კი გაშინებს. როცა ორმოცდაცხრა წელია შენთვის ხარ – ხვდები? – თითქოს შეეჩვიე კიდევ შენთვის ყოფნას – და როცა ფიქრობ რომ შენთვისაც ვეღარ იქნები – ფიქრობ რომ ვერც *ველარაფერი* იქნები – უბრალოდ მკვდარი! – თითქოს – [ნაჩქარევად უკიდებს ახალ სიგარეტს.] იცი გუშინ რა ვქენი? ავდექი და ფანჯრის ფარდა ავწიე! იმ სიმაღლეზე ავწიე რამხელაზეც შევძელი. ფანჯრის ბოლომდე ავწიე!

**დეივი [ინტერესით]:** რისთვის გააკეთე ეგ?

**ვოლტონი [მშრალად, მცირე პაუზის შემდეგ]:** ასე შემძლო ვარსკვლავებისთვის შემეხედა!

**დეივი:** ჰოო? მერე გიმგელა?

**ვოლტონი:** რატომ უნდა. ეს ყოველთვის შველის. როცა გეშინია ყველაზე უკეთესი რისი გაკეთებაც შეგიძლია ვარსკვლავების ყურებაა. ეგ კიდევ ერთი რამაა რაც საფრანგეთში ვისწავლე. მახსოვს ერთხელ სანგარიდან ამოვძვერი საშინელი დაბომბვის შემდეგ – მთვრალივით დავბანცალებდი – იარაღს ძლივს ვიჭერდი ხელში – უეცრად ცას მოვკარი თვალი – ღრუბლების კვამლს შორის – გადავიხარხარე ძალიან ბევრი იყო – მაღლა ვარსკვლავები – აქ კი მხოლოდ მე ვიდექი – მიხვდი?

**დეივი:** ჰო, მაგრამ რა ხეირია შენთვის?

**ვოლტონი:** არ ვიცი – ისეთ შეგრძნებას მიტოვებს თითქოს პატარა და უმნიშვნელო ვარ, ისე მკაფიონი არიან და ისე შორს – შეხედავ მათ და საკუთარ თავს ეუბნები – საერთოდ ვინ ჯანდაბა ვარ? მილიონობით ჩემნაირი იბადება ყოველდღე! ხედავ? უყურებ ამ ვარსკვლავებს და იცი, სანამ შენ მოხვიდოდი დედამიწაზე, ისინი უკვე ათასობით წლები იყვნენ იქ – და კიდევ ათასობით წლები დარჩებიან მას შემდეგ რაც წახვალ. ისინი თითქოს – მარადისობას ან რაღაც მაგდაგვარს -წარმოადგენენ! და როცა შენ ისეთ რამეზე ფიქრობ როგორც მარადისობაა – როცა ამაზე ფიქრობ . . . [გაურკვეველ შესტს აკეთებს ორივე ხელით.]

**დეივი [წელა] ჰოო – ჰოო . . .**

**ვოლტონი [კბილებს კრეჭს] გაიგე?**

**დეივი [წელა-წელა ხვდება] ჰოო, მიხვდი რასაც გულისხმობ . . .**

**[სინათლე ქრება რომ გამოხატოს გარკვეული დრო – დაახლოებით 6 საათი. როცა სცენა ინთება უკვე საღამოა.]**

**ვოლტონის საწოლი ცარიელია, საწოლი ისევე სუფთაადაა გაწყობილი როგორც მის შემოსვლამდე იყო. დეივი sits propped up. წაკითხვას ცდილობს მაგრამ თვალები ვოლტონისა და ტონის საწოლებისაკენ გაურბის. აშკარად მარტო გრძნობს თავს.**

**სანიტარი ჯო საჭმელის სინით შემოდის. გულთბილად იქცევა]**

**ჯო:** დროა საკვები მიიღო, მეგობარო. (Time to put on the feedbag, boy)

**დეივი:** დღეს რაღაც არ მშია.

**ჯო:** უნდა ჭამო. მაღლიდან ბრძანებაა. [საწოლის მაგიდას მოაწყობს და დეივს ცოტათი უფრო მაღლა წევს] ისპანახი, ძმაო. აი სწორედ ეს გჭირდება. ბევრი ისპანახი. ვუთხარი რომ შენთვის ორმაგი მოეცათ.

**დეივი:** ჰეი მეგობარო! ეს რა გულაშია? (მომუშული ცხარე ხორცი)

**ჯო:** მომუშული ბატკანი!

**დეივი:** არ მინდა. მითხარი იმ ახალ ბიჭს უკან როდის მოიყვანენ?

**ჯო:** [ორჭოფულად]: ვის?

**დეივი:** კარგად იცი! ვოლტონს! აი ვისთვისაც ოპერაცია უნდა გაეკეთებინათ.

**ჯო [დეივის თვალებს გაურბის]:** ოჰ. [პაუზა.] მაგ ბიჭზე ნუ ღელავ, შენი ვახშამი ჭამე.

**დეივი [დაძაბული უყურებს ჯოს]:** ორის ნახევრისთვის წაიყვანეს. მორჩენილი უნდა იყოს უკვე.

**ჯო:** ჰო. [გაზეთს იღებს] მორჩენილია.

**დეივი [გაბრაზებით]:** ჰო და, უკან რატომ აღარ მოჰყავთ?

**ჯო [ხანგრძლივი პაუზის შემდეგ]:** ის ბიჭი – უკან აღარ დაბრუნდება.

**დეივი:** შენ ამბობ რომ ის –

**ჯო:** ჰო – მიდი შეჭამე.

**დეივი [ხანგრძლივი პაუზის შემდეგ]:** რა სასაცილოა ეს დაწყევლილი! არადა თქვა უკან დაბრუნდებო. ისე საუბრობდა რომ – დარწმუნებულად კი იყო.

**ჯო:** ეს ტვინის ოპერაციები – it's touch and go with them things.

**დეივი:** იცოდა სახიფათო რომ იყო – მაგრამ ეგონა გამომძვრებოდა.

**ჯო:** მგონი, ასე ფიქრს არაფერი დაუკლია მისთვის. მიდი ჭამე შენი ვახშამი, მეგობარო.

**დეივი:** არ მშია. ლაკი მომეცი, ჯო.

**ჯო:** არა.

**დეივი:** მიდი რა.

**ჯო:** წესების დარღვევაა.

**დეივი:** მომეცი-მეთქი!

**ჯო:** არა. სიგარეტის მოწვევის უფლება არა გაქვს. ძალიან სახიფათოა შენთვის.

**დეივი:** ჰეი, შე გამოტვინებულო! მოდი აქ! მომეცი ლაკი!

**ჯო:** ღმერთს გეფიცები, ამ სიჯიუტეს თუ არ მოეშვები! [საკუთარ სიგარეტის კოლოფზე უთითებს] აჰა, სულ დაიტოვე! როგორც ვატყობ, შენ ჯოჯოხეთშიც კი მოწვევ!

**დეივი [მოუთმენლად ართმევს]:** მადლობა!

**ჯო [ზიზღულნებს]:** ეგ თამბაქო უნდა გადააგდო!

**დეივი:** რატომ?

**ჯო:** ძალიან კარგად იცი რომ ეგ კარგი არ არის შენთვის.

**დეივი: [გესლიანად იკრიჭება]:** ჩემთვის საერთოდ აღარაფერია კარგი, ჯო.

**ჯო:** მოკეტე. [დეივს სანთებელას აწვდის]

**დეივი:** რა უქენით იმ ბიჭს სიკვდილის მერე?

**[ჯოს არ მოსწონს შეკითხვა. გაზეთში იხედება]**

**დეივი:** დაბლა სარდაფში ჩაიტანეთ ხომ?

**ჯო:** ოო-გაჩუმიდი.

**დეივი:** მერე ნაწლავებს ამოჭრით ჰო? [მისუსტებულად იცინის] ჩემს ნაწლავებს რაღას უზამთ, ჯო? თქვენს მაწანწალებს აჭმევთ არა?

**ჯო [მბგინვარედ]:** მოკეტე!

**დეივი:** ჰეი, შე გამოტვინებულო! გეხუმრები, რა იყო ჯო. თქვი! რა მოხდა ტონის იმ დიდ თამაშზე?

**ჯო[ხმას უწევს]** დათვებმა მოიგესმ ოცდათექვსმეტით ნოლი.

**დეივი:** ოცდათექვსმეტით ნოლი! ცალმხრივი თამშივით ყოფილა არა? როგორც ყოველთვის ასეა – ვიღაც იგებს – ვიღაც აგებს – მხოლოდ ერთ მხარეს ეკუთვნის ყველაფერი! ესეც ასე – მგონი ტონის ძალიანაც გაუხარდებოდა!

**ჯო:** ჰოო, დაგენიძლავები. მთელი სულითა და გულით ელოდა მათ გამარჯვება იმ დიდ თამაშზე.

**დეივი:** ალბათ გამარჯვებას ზეიმობენ – დიდი წვეულება ექნებათ ბერძნებთან(Greek's)

**ჯო:** ბერძნებთან?

**დეივი:** ჰო, ეგ ის ადგილია სადაც დროის სატარებლად დადიან ხოლმე. ლუდს სვამენ. საკუთარი ოთახიც აქვთ სადაც ბოლოში – ტონი ამბობდა – და ბევრ ლუდს სვამენ. . თვრებიან და ერთ ჯოჯოხეთს ატრიალებენ. მთელ რიგ სიციყეებს ჩადიან. ტონიმ თქვა რომ იქ ერთი წითური მიმტანი ყოფილა რომელიც, თურმე ყურადღებას იჩენს მის მიმართ. ხანდახან მუხლებზეც კი უჯდება – [ოღნავ შესამჩნევად იცინის] მგონი, ტონი ისეთი ბიჭია გოგოები სულ კუდში რომ დასდევენ.

**ჯო:** ჰოო, ეს ფეხბურთის გმირები –

**დეივი:** არა მარტო ეგ არ არის. სიცოცხლე ჩქევს მასში, ჯო.

**ჯო:** ჰო მემგონი მართალი ხარ. მეტის ჭამას აღარ აპირებ?

**დეივი:** არა. მომშორე ლანგარი ჯო და მზარეულს უთხარი რომ მომბეზრდა ეგ საზიზღარი სითხე –

**[როგორც კი ჯო ლანგარს აშორებს, დეივი იკრიჭება. მერე ხმადაბლა ამბობს, და გაღიზიანებული ცოტას ამოძრავდება]**

**დეივი:** ჯო, მგონი „dijjy“-ის დოზას მივიღებ დღეს – რაღაც ვერ ვსუნთქავ კარგად.

**ჯო:** ახლავე გინდა?

**დეივი:** არა. არა ცოტა დავიცადოთ. ძილის წინ მომეცით, რომ მოვისვენო.

**ჯო:** ათისთვის გამოგიგზავნი, კარგი?

**დეივი:** კარგი.

**[ჯო გასასლელად ემზადება]**

**დეივი:** ერთი წუთი მოიცადე ჯო. შეგიძლია ცოტათი ფარდა ასწიო?

**[ჯო მასთან ყველაზე ახლოს მყოფ ფარდას სწევს]**

**დეივი:** არა, ეგ არა, მეორე.

**[დეივი იმაზე მიუთითებს რომელიც ცოტა მოშორებითაა]**

**ჯო [მოჩვენებითი გაბრაზებით]:** გეფიცები სულ უფრო და უფრო ბუზღუნა ხდები (in that ole maid in the East Wing) ეს არის?

**დეივი:** ჰო.

**[ჯო ცოტათი სწევს ფარდას მაღლა]**

**დეივი:** უფრო მაღლა ასწიე.

**ჯო:** უფრო მაღლა?



**დეივი:** ჰო, უფრო მაღლა!

**ჯო [გამომუშავებული მზრუნველობით]:** ამაზე რას იტყვი?

**დეივი:** უფრო მაღლა, ჯო.

**ჯო:** აჰ! მივხვდი! იმ ქერას გინდა ხომ უჭვრიტინო მაღლა – მიგიხვდი! [ისევ ცოტათის მაღლა სწევს ფარდას] ახლა კარგია?

**დეივი[მოუთმენლად]:** არა, უფრო მაღლა, მაღლა! სულ ასწიე – [პაუზა] – ვარსკვლავებს მინდა შევხედო!

**ჯო [გაოცებულია]:** ვარსკვლავებს? საიდუმლოდ მითხარი! სულ ეგაა?

**დეივი:** ჰო. [პაუზა] და საერთოდ ‘dijjy’-ის დოზაც დაივიწყე – დღეს აღარ დამჭირდება!

**ჯო:** დარწმუნებული ხარ?

**დეივი:** აბსოლიურად. აღარ დამჭირდება – დროებით, ჯო.

**ჯო [გადის და ხმადაბლა ამბობს]:** – ჰო – დროებით.

[ჯო ზურგს უკან კარებს ხურავს. წამის შემდეგ დეივი საწოლის ნათურას აქრობს. პალატა ჩაბნელებულია.

გვესმის მისი მძიმე სუნთქვა. ასანთი ინთება და აჩენს დეივის დამაბულ და დაჭიმულ ნაკვეთებს. აღფრთოვანება აწერია თვალებში. სიგარეტს უკიდებს. ასანთის შუქი, ქრება. დეივი წინ იხრება. ხელები მომუჭული აქვს. სახე გადაწმენდილი აქვს. მძიმედ სუნთქვისაგან თითქოს ქოსინებს. ისევ წინ ფანჯრისაკენ იხრება. სიგარეტს ეწევა და ვარსკვლავებს უყურებს.]